# კონტაქტების დადგენა

## Contact tracing

## ტრენინგის თემები:

1. SARS-CoV2 მოკლე დახასიათება;
2. ინფექციის გადაცემის გზები;
3. ინფექციის ინკუბაციური პერიოდი;
4. COVID19-ის კლინიკური ნიშნები;
5. კონტაკტების დადგენა/მოძიება;
6. COVID19-ის შემთხვევის განსაზღვრა;
7. კონტაქტის განსაზღვრა;
8. მძიმე შემთხვევების ადრეული იდენტიფიცირება;
9. კონტაკტების მოძიების ფორმა.

# SARS-CoV2-ის მოკლე დახასიათება

SARS-CoV აღწერილ იქნა 2003 წელს, ჩინეთში, ერთჯერადი ეპიდემიის სახით, რამაც გამოიწვია 700-ზე მეტი სიკვდილი, ფილტვის ხელოვნური ვენტილაციის 20-30%-იანი საჭიროებით და 10%-იანი ლეტალობით, განსაკუთრებით პაციენტებში თანარსებული დაავადებებით.

MERS-CoV პირველად იქნა აღმოჩენილი 2012 წელს, მას მსგავსი კლინიკური სურათი ჰქონდა, მაგრამ უფრო მაღალი ლეტალობა (36%). ეს ინფექცია კიდევ გრძელდება სპორადული შემთხვევების სახით.

ორივე ეს ინფექცია ზოონოზურია.

# საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება

SARS-CoV2-ს ფიზიკოქიმიური თვისებები ბოლომდე არ არის გარკვეული, მაგრამ ითვლება, რომ ის მგრძნობიარეა ულტრაიისფერი გამოსხივების და გათბობის მიმართ.

ახალი კორონავირუსი (COVID-19) მსუბუქი, გაციების (გრიპის) მსგავსი დაავადებაა. COVID-19 პირველად გამოჩნდა 2019 წლის დეკემბერში, ჩინეთში, ვუჰანის პროვინციაში.



# ინფექციის გადაცემის გზები

ინფექცია გადაეცემა წვეთოვანი და კონტაქტური გზით. ნაჩვენებია, რომ SARSCoV-2 ასევე შეიძლება გადაეცეს აეროზოლის საშუალებით და ფეკალურ- ორალური გზით. ვირუსი ყველაზე გადამდებია სიმპტომების დაწყებიდან პირველი სამი დღის განმავლობაში, თუმცა შესაძლებელია გადაცემა სიმპტომების გამოვლენამდე ორი დღით ადრე (პრე-სიმპტომური გადაცემა) და დაავადების შემდგომ ეტაპებზეც.

## ინფექციის გადაცემის რისკი

ინდივიდიდან SARS-CoV-2-ით ინფიცირების რისკი განსხვავდება ექსპოზიციის ტიპისა და ხანგრძლივობის, პროფილაქტიკური ზომების გამოყენებისა და სავარაუდოდ, ცალკეული ფაქტორების მიხედვით.

# ინფექციის ინკუბაციური პერიოდი

SARSCoV-2 ინფექციის ინკუბაციური პერიოდი 1–დან 14 დღემდეა, ძირითადად, 3-დან 7 დღემდე.
უმეტეს შემთხვევაში კლინიკური სიმპტომების გამოვლენა ხდება ექსპოზიციიდან 2 ან 3 დღეს.

# COVID19ს კლინიკური ნიშნები

## ხშირი სიმპტომები:

- ცხელება
- ხველა
- დაღლილობის შეგრძნება

## ნაკლებად ხშირი სიმპტომები:

- სხეულის ტკივილი
- ყელის ტკივილი
- სიმპტომები კუჭნაწლავის მხრივ (ფაღარათი)
- კონიუკტივიტი
- თავის ტკივილი
- გამონაყარი სხეულზე
- ყნოსვის და გემოს შეგრძნების დაკარგვა



# კონტაკტების დადგენა/მოძიება

კონტაქტის მოძიება წარმოადგენს იმ ადამიანთა იდენტიფიკაციის, შეფასებისა და მხარდაჭერის პროცესს, რომლებსაც შესაძლო შეხება/კონტაქტი ჰქონდათ COVID-19-ით ინფიცირებულთან, რათა თავიდან იქნას აცილებული ვირუსის შემდგომი გავრცელება.

1) კონტაქტის მოძიება
2) ინფიცირებულებთან კონტაქტის დამდგენის აპლიკაციები
3) აქტიური შემთხვევების პოვნა
4) სკრინინგი სასაზღვრო პუნქტებზე
5) საზოგადოებრივ დონეზე მონიტორინგი (CBS)
6) ცხელი ხაზი



# COVID19-ისს შემთხვევის განსაზღვრა

**შესაძლო შემთხვევა:**

**ა)** პირი მწვავე რესპირატორული დაავადებით (ცხელება და რესპირატორული დაავადების სულ მცირე ერთი ნიშანი / სიმპტომი, მაგ. ხველა, სუნთქვის გაძნელება) და მოგზაურობის ისტორიით ან საცხოვრებელის ადგილმდებარეობით, რომლის თემშიც დაფიქსირდა COVID-19-ის შემთხვევები, სიმპტომების გამოვლენამდე 14 დღით ადრე;

ან

**ბ)** პირი მწვავე რესპირატორული დაავადებით, რომელსაც კონტაქტი ჰქონდა COVID-19-ის დადასტურებულ ან შესაძლო შემთხვევასთან სიმპტომების გამოვლენამდე 14 დღით ადრე;

ან

**გ)** პირი მწვავე რესპირატორული დაავადებით (ცხელება და რესპირატორული დაავადების სულ მცირე ერთი ნიშანი / სიმპტომი, მაგ. ხველა, სუნთქვის გაძნელება და რომელიც საჭიროებს ჰოსპიტალიზაციას), რომელსაც არ გააჩნია სხვა ალტერნატიული დიაგნოზი, რაც სრულად ხსნის მის კლინიკურ მონაცემებს.

# COVID19-ის შემთხვევის განსაზღვრა

**სავარაუდო შემთხვევა:**

ა) საეჭვო შემთხვევა, რომლის შემთხვევაშიც COVID-19-ის ტესტი არასარწმუნოა;

ან

ბ) საეჭვო შემთხვევა, რომლის ტესტირებაც ვერ განხორციელდა რაიმე მიზეზით.

**დადასტურებული შემთხვევა:**

პირი, ლაბორატორიულად დადასტურებული COVID-19-ის ინფექციით, კლინიკური ნიშნებით და სიმპტომებით, ან მათ გარეშე.

# კონტაქტის განსაზღვრვა

კონტაქტი არის პირი, რომელსაც ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელიმე ტიპის შეხება ჰქონდა COVID-19-ის სავარაუდო ან დადასტურებული შემთხვევის სიმპტომების დაწყებიდან 2 დღით ადრე 14 დღემდე:

1. COVID-19-ით ინფიცირებულთან 1 მეტრის სიახლოვეში ყოფნა 15 წუთის განმავლობაში;
2. პირდაპირი ფიზიკური კონტაქტი COVID-19-ით შესაძლო ან დადასტურებულ ინფიცირებულთან;
3. COVID-19-ით შესაძლო ან დადასტურებულ ინფიცირებულ პირზე პირდაპირ ზრუნვა პერსონალური დამცავი აღჭურვილობის (PPE) გარეშე;

# მძიმე შემთხვევების ადრეული იდენტიფიცირება

თუ პირს COVID19-ის საგანგაშო ნიშნები უვლინდება, დაუყოვნებლივ დაუკავშირდით 112-ს.
საგანგაშო ნიშნებს მიეკუთვნება:

- სუნთქვის გაძნელება ან ქოშინი;
- პერსისტიული ტკივილი ან ზეწოლა გულმკერდის არეში;
- მწვავედ განვითარებული ცნობიერების დარღვევა ან გამოფხიზლების შეუძლებლობა;
- ტუჩების ან სახის მოლურჯო შეფერილობა.

*საგანგაშო სიმპტომები არ შემოიფარგლება მხოლოდ ამ ჩამონათვალით.

# მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც შეტანილ უნდა იქნას კონტაქტების მოძიების ფორმებში:

## მინიმალური საჭირო მონაცემები:

- კონტაქტის იდენტიფიკაცია (ID)
- დემოგრაფიული ინფორმაცია
- კონტაქტის ტიპი
- ყოველდღიური დაკვირვების ნიშნები და სიმპტომები
- კონტაქტთან კავშირის დაკარგვა ან დაკვირვების შესაძლებლობის არქონა
- სიმპტომურობის შემთხვევაში განხორციელებული ქმედებები

მადლობა ყურადღებისთვის!

კითხვები?

IFRC

USAID FROM THE AMERICAN PEOPLE

GEORGIA RED CROSS